პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 მაისი, შაბათი, 1988 წ.
№ 88 (9755) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ახალი წარმატებები, ახალი სიხარული

ვლადიმერ გოგოლაძის ორმაგი გამარჯვება



ტოკიო. ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრებამ, რომელიც იაპონიის დედაქალაქში ჩატარდა, ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია და ეს არც არის გასაკვირი. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის, იაპონიის, ჩინეთისა და აშშ-ს კოლექტივები.

წინასწარ ვიტყვით, გუნდური გამარჯვება საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟებმა და იაპონელმა ქალებმა მოიპოვეს. ჩვენი ქვეყნის ვაჟთა გუნდის უპირატესობა აშკარა და უდავო იყო, აი, ჩვენი ქალთა ნაკრები კი მხოლოდ 0,05 ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს.

ჯერ სპორტსმენებმა მრავალჭიდში (ამ შემოხვევაში ხუთჭიდში) იასპარეზეს. ვაჟთა შორის ყველაზე უკეთ გამოვიდა და პირველი ადგილი დაიკავა თბილისელმა ვლადიმერ გოგოლაძემ — 57,65 ქულა. მეორე დღეს მან ყველას აჯობა ტაიჭზე ვარჯიშში.

ცალკეულ იარაღებზე ბრწყინვალე მაჩვენებლები ჰქონდა 19 წლის გენადი ზადოროჟნის,. რომელმაც გაიმარჯვა თავისუფალ ვარჯიშში, რგოლებზე და ორძელზე. დიმიტრი ვორობიოვი უძლიერესი იყო ღერძზე, ბჯენით ხტომებში — ჩინელი ვან მინი.

ქალთა შორის ოთხჭიდში პირველი ადგილი ელენე გუროვამ დაიკავა — 39,3 ქულა, სამგიეროდ ცალკეულ იარაღებზე მისმა თანაგუნდელმა ოლგა ჩუდინამ იმარჯვა — ყველას აჯობა ხტომებში, ორძელსა და თავისუფალ ვარჯიშში. ჩინელებს აქაც ერთი პირველი ადგილი ხვდათ წილად — დვირზე ვარჯიში ფენ ნამ მოიგო.

ჩვენი ქვეყნის ვაჟთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ: ვლადიმერ გოგოლაძე, გენადი ზადოროჟნი, დიმიტრი ვორობიოვი და სერგეუს რუმბუტისი.

„იტალიის დიდი პრიზი“ თამაზ იმნაიშვილს

ოლიმპიურ სეზონში ყოველ დიდ გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სწორედ ასეთი გამარჯვება მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა თამაზ იმნაიშვილმა „იტალიის დიდი პრიზის“ გათამაშებაში, სადაც 22 ქვეყნის უძლიერესი მესტენდურეები გამოდიოდნენ. იგი უძლიერესი იყო როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში მრგვალ სტენდზე მსროლელთა შორის.

ინტერვიუს ჩვენს სახელოვან მესტენდურესთან „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ელვა-ინფორმაცია

საქართველოს ცხრა ტყვიის მსროლელი ახასპარეზობდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში იუნიორთა შორის, რომელიც კიშინიოვში ჩატარდა. ორმა ჩვენმა წარმომადგენელმა პირველი ადგილი დაიკავა. მშ-5 ვარჯიშში უძლიერესი იყო თბილისელი მარინე აბაკელია — 573 ქულა, მცირეკალიბრიანი პისტოლეტით (მპ-11) ყველაზე კარგად იასპარეზა სოხუმელმა ალექსი კუპუხიძემ — 366 ქულა. თბილისელმა გიორგი ქველაშვილმა ორჯერ მოიპოვა მესამე ადგილი პისტოლეტის სროლაში (მპ-8 და მპ-11).

ბიბლ. სსრ კ. გარეშეულ. სახ. ეროვნ. ბიბლიოთეკა

გთავაზობთ წინადადებას!

გაკვეთილი სპორტული დიდების ხელოვანში

ამას წინათ ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის შეხვედრისას მრავალი საკითხი წამოიჭრა, რომელთა დროული გადაწყვეტა ხელს შეგვიწყობს მძლავრი ნაბიჯი გადავდგათ მასობრიობიდან საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურულ მოძრაობაზე გადასვლის საქმეში. ახლა ყველა საკითხი კომპლექსურად წყდება. ეს დროის მოთხოვნაა. იმ შეხვედრაზეც მრავალი პრობლემის კომპლექსურად გადაჭრა დაისვა დღის წესრიგში. მაგალითად, ითქვა, რომ საჭიროა ფიზკულტურასა და სპორტში მოზარდების ცოდნის გაღრმავება, რასაც ძირითადად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში უნდა მივაღწიოთ. იმაზეც გამახვილდა ყურადღება, რომ სპორტული **დიდების** ხეივანი, რომელიც დიღმის ტყეპარკში გაიხსნა, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის, ქართული სპორტის ისტორიის გაცნობა-შესწავლის კერად უნდა იქცეს.

შემოვდივართ წინადადებით, რომ თბილისის სკოლებმა, აგრეთვე რესპუბლიკის მოსწავლეთა სხვა კოლექტივებმა დედაქალაქში სტუმრობისას აუცილებლად მოინახულონ სპორტული დიდების ხეივანი. აქ უნდა ჩატარდეს ფიზკულტურის თეორიული გაკვეთილები სუფთა ჰაერზე, ღია ცის ქვეშ. ჩვენი სპორტის ვეტერანები, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და „ცოდნის“ ლექტორები, სპორტის მუშაკები, თვით ცნობილი სპორტსმენები აქ შეხვდებიან და ესაუბრებიან მოსწავლეებს. ამ საქმეს ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ. დიღმის მასივში ალბათ გამოჩნდება ერთ-ერთი სკოლა, რომელიც შეფობას აიღებს და მზრუნველობას ორ მოაკლებს სპორტული დიდების ხეივანს. რომელი სკოლა და კლასი ჩაატარებს პირველ ღია თეორიულ გაკვეთილს ხეივანში?

გთხოვთ გვაცნობოთ გაკვეთილის ჩატარების თარიღი და საათი. პირველი ლექტორების შერჩევას და ცნობილ სპორტსმენთა მიწვევას „ლელოს“ რედაქცია უზრუნველყოფს.

7 მაისი რადიოს დღეა

კვირას, 8 მაისს, 14 საათსა და 30 წუთზე, ტრადიციულად მოისმენთ რადიოუურნალს „ფიზკულტურა და სპორტი“. ამ გადაცემას თითქმის 35 წლის ისტორია აქვს. საქართველოს რადიოს სპორტულ გადაცემათა რედაქციაში თამილა კახიძემ (სურათზე მარჯვნივ), რომელიც ამჟამად ამ რედაქციის უფროსი რედაქტორია, ორი ათეული წელია მუშაობს. სპორტულ ჟურნალისტიკაში 36 წელიწადია ნაყოფიერად იღვწის იმავე რედაქციის რედაქტორი ოთარ გელაშვილი. აი, ახლაც თამილა კახიძე და ოთარ გელაშვილი ოპერატორ მანანა ხანუკაშვილთან ერთად ამზადებენ რადიოუურნალის ახალ ნომერს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

დავით ხახალეიშვილს—სპეციალური ჯილდო



ტოკიო. აქ გამართულ ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე საკმაოდ ძლიერმა ათლეტებმა მოიყარეს თავი. გუნდური გამარჯვებისთვის ადგილობრივ სპორტსმენთა გარდა იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის, აშშ-ს, საფრანგეთის, სამხრეთ კორეის, ბრაზილიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

საბჭოთა ძიუდოისტებმა თავდაპირველად ბრაზილიელი თანატოლები დაამარცხეს — 3:0, მერე სამხრეთ კორეის წარმომადგენლებს აჯობეს — 4:2, ნახევარფინალში ჩვენი ნაკრების მეტოქე იყო საფრანგეთის გუნდი. ეს ორთაბრძოლა საბჭოთა მოჭიდავეებმა დიდი უპირატესობით მოიგეს (5:1) და ფინალში გავიდნენ.

მეორე ფინალისტი გახდა იაპონიის ნაკრები, რომელმაც დაამარცხა აშშ-ს გუნდი 7:0, საფრანგეთი — 6:0, სამხრეთ კორეა — 2:1. ფინალურ ორთაბრძოლაში უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ. რომლებმაც ოთხი შეხვედრა მოიგეს და მხოლოდ ორი დამთეს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჭაბუკთა საკავშირო ნაკრების შემდეგ წევრიდან ხუთი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო: ვლადიმერ დგებუაძე (71 კგ, სოხუმი, „დინამო“), თამაზ მუთოშვილი (78 კგ, ახმეტა, „შრომითი რეზერვები“), თამაზ საკაშვილი (87, კგ თბილისი, პროფკავშირები), ყობა გურეშიძე (95 კგ, ზესტაფონი, „შრომითი რეზერვები“) და დავით ხახალეიშვილი (მძიმე, ქუთაისი. „დინამო“).

დაბოლოს, ერთი სასიამოვნო დეტალი. მძიმე წონის მოჭიდავემ დავით ხახალეიშვილმა იაპონიის დედაქალაქში 4 შეხვედრა ჩაატარა და ყველა წმინდად მოიგო. ამ ბრწყინვალე შედეგისათვის ქართველმა ძიუდოისტმა ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი დაიმსახურა.

თენგიზ თედორაძე—უძლიერესი



ტალინი. აქ ჩატარდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი წარსულში ცნობილი ათლეტის გიორგი ლურიხის პრიზზე, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენების გარდა მონაწილეობდნენ გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის და ფინეთის ოლიმპიური გუნდები.

კარგად იასპარეზეს ტურნირში საქართველოს წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით კი თბილისელმა არმიელმა **თენგიზ თედორაძემ**, რომელმაც 100 კგ წონით კატეგორიაში ხუთი შეხვედრიდან ოთხი წმინდად მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.

მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ **ვახილ ონიანი** (68 კგ, ქუთაისი, „დინამო“), **ამირან ხვანიძე** (74 კგ, თბილისი, „დინამო“) და **ნაიბი დვალიძე** (90 კგ, თბილისი, საბჭოთა არმია). გუნდს ამ შეჯიბრებისთვის მწვრთნელი დავით დავითაია ამზადებდა.

მადლობის სტრიქონები

მუდამ მხარში გვიდგას

პატივცემულო რედაქციავ! ჩვენ, საქართველოს მოქმედ და ვეტერან ძიუდოისტებს, გვსურს გაზეთ „ლელოს“ სამუალებით დიდი მადლობა გადავუხადოთ ძიუდოს რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარეს, საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება ჰიდროენერგოშენის უფროსს მიხეილ ცისკარიშვილს. ამ თანამდებობაზე ნაყოფიერი მუშაობის გარდა, ბატონი მიხეილი ძალას არ იშურებს საქართველოში ძიუდოს განვითარებისათვის. მისი უშუალო მზრდელობითა და დახმარებით ბოლო ოთხ წელიწადში ჩვენმა სპორტსმენებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. დიახ, ძიუდოს მატერიალური ბაზის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სპორტის ამ სახეობის ფედერაციის თავკაცებს. დიდად გვახარებს ის, რომ სულ მალე დუშეთში მოჭიდავეებისათვის მწყობრში ჩადგება სპორტული კომპლექსი, რომელსაც სამი დარბაზი ექნება. ამ მშენებლობის თაოსანი და უშუალო ხელმძღვანელი მიხეილ ცისკარიშვილი გახლავთ.

ასეთი მზრდელისა და თანადგომის პასუხად, ჩვენ, ძიუდოს სპეციალისტები და სპორტსმენები, პირობას ვიძლევით, რომ ძალას არ დავიშურებთ, რათა გავამრავლოთ და უფრო თვალსაჩინო გავხადოთ ჩვენი ფალავნების წარმატებები.

შოთა ხაბარელი — ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი; შოთა ჩოჩიშვილი — ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი; თემურ ხუბულური — მხოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი; ანზორ ქიბაროეაშვილი — ევროპის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ანზორ მარტყოფლიშვილი — ევროპის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი; ყობა ყურტანიძე — ევროპის ჩემპიონი; აკაკი ყიბარაძალიძე—სსრ კავშირის ჩემპიონი; ავთანდილ ბუბელაძე — სსრ კავშირის ჩემპიონი, ამირან ტოტიკაშვილი — სსრ კავშირის ჩემპიონი.

ვეტერანები — ბავშვებს!

თბილისში დღეს იწყება გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ვეტერან კალათბურთელთა საკავშირო ტურნირი. ტურნირის მონაწილეთა შორის არიან: მოსკოვიდან — ბალაშოვი, პოტაპოვი, კორნეევი, დიაჩენკო; მინსკიდან — პაპკოვი, კოვალიოვი, ბონდარი, რადიუკი, შერეევერა; უკრაინიდან — ოსიპოვი, შევჩენკო; მასპინძელთაგან—ი. ხაზარაძე, ა. ლეკავა, ვ. ყელენტი, რ. გოგელია... მწვრთნელი ო. ჭორქია.

ასპარეზობა საზეიმოდ გაიხსნება 17 საათსა და 30 წუთზე კიროვის პარკში მდებარე ბავშვთა კალათბურთის სასახლეში.

დათმობილი ტრასები

იუო დრო, როცა საავტომობილო სპორტში ნებისმიერ საკავშირო რანგის შეჯიბრებაზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების გამოჩენა მათდამი პატივისცემის გრძნობას იწვევდა. ქართველები ჩამოვიდნენო, რომ იტყოდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ სპორზო სამეულში ერთი ადგილი უკვე „დაჯავშნული“ იყო. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ადრე ხდებოდა. 1975 წლის საკავშირო ჩემპიონატში გურამ დგებუაძის გამარჯვების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს რაიმე საგრძნობი წარმატება აღარ მოუპოვებიათ და დღესდღეობით, მაგალითად წრიულ რბოლებში, სპორზო ადგილზე გასვლა კი არა — დისტანციის დამთავრებაც კი ერთგვარ მიღწევად ითვლება.

რატომ ხდება ეს? რამ გამოიწვია ასეთი ჩავარდნა? იმ დროს, როდესაც მთელ ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა საავტომობილო სპორტს, მის შემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას, ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით. იმ დროს, როდესაც საჭიროა ერთსულოვნება, რათა საქმე „მკვდარი“ წერტილიდან დაიძრას, ამ საქმის სპეციალისტები და ისინი, ვისაც მათი მხარდაჭერა ევალებათ, სხვადასხვა პოზიციებზე დგანან: როდესაც პირველები მატერიალურ სახსრებს, ახალ ტექნიკასა და მათი სრულყოფისთვის სპეციალური ლაბორატორიების მოწყობას ითხოვენ, მეორენი კონტრარგუმენტს იშველიებენ — გვიჩვენეთ შედეგები და დაგეხმარებითო.

როდესაც დახმარებაზეა საუბარი, ამ საქმეზე, უპირველეს ყოვლისა, საავტომობილო სპორტის ფედერაცია უნდა ზრუნავდეს, მით უმეტეს, რომ მას სათავეში უდგას საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი. სამწუხაროდ, ფედერაცია, უკვე რამდენმე წელია ფორმალურად ასრულებს და, თუ მისი საქმიანობა მკვეთრად არ გააქტიურდა, რაიმე წინსვლაზე ლაპარაკი ზედმეტია.

უმნიშვნელო როლს არც მწვრთნელების კვალიფიკაცია უნდა ასრულებდეს. რესპუბლიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელობა ძალზე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ამ თანამდებობაზე მომუშავე პიროვნებას. ზედმეტადაც მიგვაჩნია იმაზე საუბარი, რომ ის უნდა იყოს თავისი საქმის დიდი სპეციალისტი, უპირველესი ქომაგი და პოპულარიზატორი, ნიადაგ უნდა ეძებდეს ნიჭიერ სპორტსმენებს და ყოველნაირად უწყობდეს ხელს მათს შემდგომ დაოსტატებას. ეს ყველაფერი ანბანური ჭეშმარიტებაა და მთავარი მწვრთნელის პირდაპირ ფუნქციებში შედის. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ნაკრების ხანგრძლივი წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი მთავარი მწვრთნელის შოთა მამრიკიშვილის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაშიც უნდა ვეძებოთ. უკვე ცამეტი წელიწადია იგი სათავეში უდგას ნაკრებს, მაგრამ საქმე, მეტი რომ არა, ვთქვათ, წინ არ მიიწევს.

ერთი სიტყვით, პრობლემა და საფიქრალი, თვალის ერთი გადავლებითაც კი, საკმაოდ ბევრი ჩანს და მათი გადაწყვეტა ძალზე საშური საქმეა.



ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების არასახარბიელო მდგომარეობა კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველმა ეტაპმა, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ ჩატარდა რესპუბლიკის დონაფის სპორტულ-ტექნიკური კლუბის ტრასაზე.

ამჯერად, წინა წლებთან შედარებით, ცვლილება განიცადა ასპარეზობის დებულებამ. პირველ ეტაპზე აღარ გამოდიოდნენ მეშვიდე, მერვე და მეათე კლასის ავტომობილები, რომლებიც პირდაპირ მესამე ეტაპზე ჩაებმებიან ჩემპიონატში. სანაცვლოდ გამოჩნდა ახალი, საერთაშორისო კლასის „ა“ ჯგუფის სარბოლი ავტომობილები (ძრავის მოცულობა 1300 კბ სმ). ამ კლასში ჩვენი რესპუბლიკის სამი წარმომადგენელი გამოდიოდა: იგორ ლოგინოვი, ოთარ მამრიკიშვილი და ნუგზარ წამალაშვილი. სამწუხაროდ, ფინიშზე მისვლა მხოლოდ ამ უკანასკნელმა შეძლო. პირველი ორი რბოლის დასაწყისშივე გამოეთიშა ასპარეზობას მანქანების უწესრიგობის გამო. ურიგოდ არ უასპარეზია ნუგზარ წამალაშვილს, რომელმაც მეხუთემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

როგორც აღვნიშნეთ, ორი მონაწილე მანქანების უწესრიგობის გამო გამოეთიშა რბოლას. ეს სპორტსმენები არ არიან ახალბედები და სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობის საკმაო გამოცდილებაც აქვთ, მაგრამ ამჯერად მათ „საბრძოლო მეგობრებმა“ უმტყუნეს, რომელთა სრულყოფილად მომზადებას, გამოცდილებისა და ცოდნის გარდა, საკმაო დროც სჭირდება. ლოგინოვმა კი, მაგალითად, მანქანა შეჯიბრების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მიიღო. ეს კი ძალზე მცირე დროა.

გარდა ამისა, წლეულს რატომღაც არ ჩატარებულა ე. წ. „გახსნის პრიზის“ გათამაშება, რომელიც შარშან საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ნანეიშვილის სახელობის პრიზის გათამაშებამ შეცვალა. არადა, ეს შეჯიბრება ყოველთვის ერთგვარი „რეპეტიცია“, ძალების მოსინჯვა იყო საკავშირო ჩემპიონატის წინ. შემდგომისთვის ალბათ ამის გათვალისწინებაც საჭიროა.

მნიშვნელოვან წარმატებას, ვერც „ფორმულების“ კლასებში მოასპარეზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მიაღწიეს, მაგრამ ამჯერად მათ გამოსვლაში, წინა წლებთან შედარებით, მეტი დამაჯერებლობა იგრძნობოდა, რაც გარკვეულ იმედის გრძნობას გვისახავს.

ერთი სიტყვით, საავტომობილო სპორტი, ისევე როგორც სპორტის ტექნიკურ სახეობათა სხვა დისციპლინები, სერიოზულ ყურადღებასა და მიხედვას საჭიროებს. რაც უფრო გვიან დავიწყებთ ამაზე ზრუნვას, მით უფრო გვიან მივიღებთ სასურველ შედეგებს.

გიორგი ქორძია.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„რა სატკივარი გვაწუხებს?“

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში შედგა ინსტიტუტის მეთოდური საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა 16 მარტს „ლელოში“ გამოქვეყნებულ წერილში („რა სატკივარი გვაწუხებს?“) დასმული პრობლემები და საკითხები.

**განხილვაში მონაწილეობის მი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

„დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 0:1 (0:1)

თბილისი. 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 4 მაისი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი (სვანაძე, 25), თევზაძე, ჭედია, არაზიანი, ტყებუჩავა, ცვეიბა, სულაქველიძე, მ. ჯიშკარიანი (შენგელია, 46), გურული, გ. ჯიშკარიანი.

„დნეპრი“: კრაკოვსკი, ბაშკიროვი, ვიშნევსკი, პუჩკოვი, ხოროკალეტი, კუდრიცკი, ბაგმუტი, ჩერედნიკი, შოხი, ევტუშენკო (სონი, 21), შახოვი (ნეიშტეტერი, 86).

მსაჯი ი. სავჩენკო (მოსკოვი).

გაფრთხილეს ტყებუჩავა, პუჩკოვი.

ამ მატჩზე ისეთივე ინტერესით მივდიოდით სტადიონზე, როგორც ოდესღაც მოსკოვის „დინამოსთან“, „სპარტაკთან“, „ცსკა-სთან, ან კიევის „დინამოსთან“ შეხვედრებზე. თავისთავად, „დნეპრი“ მეტად საინტერესო, ორიგინალური ხელწერის გუნდია, ბოლო წლებში მან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, მის რიგებში გამოიწვრთნენ უმაღლესი კლასის ფეხბურთელები და ასეთი გუნდის ხილვა უშუალოდ მინდორზე, „საქმეში“, ფრიად საყურადღებო იყო. მაგრამ ჩვენი უმთავრესი ინტერესის ობიექტი, რასაკვირველია, თბილისის „დინამო“ გახლდათ.

არავინ ამბობს, რომ თბილისის „დინამოსაგან“ ახლა ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას ველით. ყველამ, ვინც კი ასე თუ ისე ჩახედულია ფეხბურთში, კარგად იცის, რომ გუნდის ამჟამინდელი შემადგენლობით მაინცდამაინც შორს ვერ წახვალ, მას საკმარისზე მეტი აქვს აშკარად სუსტი ადგილები, სხვა დროს ასეთთა შეცვლა, ალბათ, მწვრთნელთა უპირველესი ზრუნვის საგანი იქნებოდა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ არც ძირითადი და არც შემცვლელი ხეირიანი ფეხბურთელი, სამწუხაროდ, არა გვყავს. რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვილაპარაკოთ, რომ ჩვენს გუნდს რამდენიმე უფრო უკეთესი მოთამაშე აკლდა, ვიდრე ამ დღეს მინდორზე იყო გამოსული, მაგრამ „დნეპრთან“ მატჩში ამგვარ დანაკლისზე ლაპარაკი, უბრალოდ, უხერხულია. უხერხულია იმიტომ, რომ „დნეპრს“ წლეულს რომ წამყვანი ფეხბურთელები დაეკლდა, ასეთი დანაკლისი უმაღლესი ლიგის არც ერთ გუნდს არ განუცდია. ამიტომაც, შესაძლოა, თბილისის „დინამო“ სწორედ ამ მიმართებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე მისი მეტოქე.

ეს მეტად მნიშვნელოვანი მატჩი საკუთარ მინდორზე წავაგეთ. მაგრამ ჩვენი გუნდის არც ერთ გულშემატკივარს, არც ერთ მაყურებელს აზრადაც არ მოსვლია ეთქვა, რომ თამაში „სხვა რაიმე“ მიზეზით წავაგეთ, გარდა იმისა, რომ „დნეპრი“ მთელი მატჩის მსვლელობაში ერთი თავით მაღლა იდგა, ვიდრე „დინამო“.

ჩვენი გუნდის წარუმატებლობებს ამ ორიოდე წლის წინათ ან მთლიანად კოლექტივის, ან მისი ცალკეული მოთამაშეების მოუნდომებლობას, ბრძოლისუნარიანობის ნაკლებობას და, საერთოდ, უნებისყოფობას ვაბრალებდით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ პერსპექტივა, თითქოს, კარგი გვქონდა და გუნდს რიგიანად რომ მოენდომებინა, გაცილებით უკეთ ითამაშებდა.

ახლა ეს ისედაც საეჭვო არგუმენტები არ გამოგვადგება. ყველანი კარგად ვხედავთ, რომ მთლიანად გუნდიც და მისი ცალკეული მოთამაშეებიც მაქსიმალურად არიან მობილიზებული საბრძოლველად, არც ერთი მოთამაშე მინდორზე არ ზოგავს ძალსა და ღონეს წარმატების მისაღწევად, ყველა იბრძვის, ყველა შემართულია, მაგრამ ისეთ ძლიერ მეტოქეებთან, როგორიც „დნეპრია“, მარტოოდენ მონდომებით ვერას გახდები. თუნდაც იმიტომ, რომ დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელებიც ასევე მაქსიმალურად არიან გაწყობილი საბრძოლველად და ასეთ შემთხვევაში ყველაფერი უნდა გადაწყვიტოს როგორც ცალკეულ ფეხბურთელთა ოსტატობამ, ისე მთლიანად გუნდის კოლექტიურ მოქმედებათა სიზუსტემ.

აი, აქ კი ცხადად გამოჩნდა, რომ თბილისის „დინამო“ ოსტატობით შესამჩნევად ჩამორჩება დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“. ფრიად სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ ეს რეალობაა, რომელსაც, რაც არ უნდა ვქმაგობდეთ თბილისის „დინამოს“, ვერასდ წაუხვალ. ძლიერი — ძლიერია, ხოლო სუსტი — სუსტი. დნეპროპეტროვსკელთა თამაშის ორგანიზაცია, ცალკეულ მოთამაშეთა მიერ დავალებული ფუნქციების ზუსტი შესრულება, სოლიდური, საფუძვლიანი თამაში დაუძლეველ ძალად იქცა. სწორედ სტუმრები კარნახობდნენ თამაშის რიტმსა და შინაარსს, თბილისელებმა რამდენიმეჯერ მოუმატეს ტემპს და მეტოქე არც ერთხელ არ ცდილა ჩაეცხრო ეს ტემპი. პირიქით, იგი ხშირ შემთხვევაში თვითონვე უფრო სწრაფად მოქმედებდა, მაღალი ტემპით იგი ვერ დაეაშინეთ.

თბილისის „დინამოს“ მატჩების საანალიზო წერილებში არაერთხელ აგვიღნშნავს, რომ კომბინაციური ურთიერთმოქმედებანი ძალზე ღარიბი გვაქვს, ჩვენი ფეხბურთელები ძალიან უზუსტოდ აწვდიან ერთმანეთს ბურთს და ეს ამბავი ახლაც ნათლად დამტკიცდა: მეორე გადაცემის შემდეგ ბურთი უეჭველად მეტოქისაა, მას ყოველთვის აქვს დრო და საშუალება უზრუნველყოს საიმედო დაცვა და კონტრშეტევაზეც გადავიდეს. „დნეპრის“ მცველები ამ მატჩში გაუვალ კედლად აღიმართნენ მასპინძელთა წინაშე, ისინი სისტემატურად ეუფლებოდნენ მეტოქის გადაცემებს და თბილისელ ფეხბურთელებს ისღა დარჩენოდათ ინდივიდუალური ჯარღვევებით ეცადათ ბედი, მაგრამ ამ ინდივიდუალურ ორთაბრძოლაშიც კი „დნეპრის“ მცველები გაცილებით უფრო ძლიერნი ჩანდნენ.

ერთადერთი ბურთი, რომელმაც „დნეპრს“ გამარჯვება მოუტანა, შახოვმა გაიტანა 36-ე წუთზე 11-მეტრიანით. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ჭედიამ თავის საჯარიმო მოედანზე თამაშის წესი დაარღვია ჩერედნიკთან ბრძოლაში. ამ ეპიზოდში ჭედია არ იდგა იმ აუცილებელი ალტერნატივის წინაშე, რომ 11-მეტრიანადმე მიეყვანა საქმე, მაგრამ მან საკუთარ თავს უფლება მისცა წესი დაერღვია, შახოვმა ზუსტად დაარტყა და ამ გოლმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

თუ ჩვენი გუნდის სადღეისო საერთო ძალასა და შესაძლებლობებს მივიღებთ მხედველობაში, იგი ახლა ურიგო მდგომარეობაში არ იმყოფება საკავშირო ჩემპიონატის ცხრილში, მაგრამ თუ გუნდმა სადღეისო აქტივს შემდგომში ახალი ქულებიც არ შემატა, შეიძლება საქმე შარშანდელ ვითარებამდეც მივიდეს, როცა თბილისის „დინამოს“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად „საშკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლა დასჭირდა.

დინამოელთა მთელი კოლექტივის წინაშე გადაუდებელი, მეტად რთული ამოცანები დგას, მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს თამაშის ორგანიზაცია, ტაქტიკური კოლექტიური ურთიერთმოქმედებანი უნდა დაიხვეწოს, გაუმჯობესდეს გადაცემათა სიზუსტე და მრავალი სხვაც, თორემ როგორ უნდა აბნეულად, უსისტემოდ და ქაოსურად თამაში, ეს ჩვენ უკვე ვიხილეთ დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ მატჩში. მაღალი ბრძოლისუნარიანობა და ნებისყოფის სიმტკიცე ასეთივე დონის ინდივიდუალური და კოლექტიური ოსტატობით უნდა იქნას განმტკიცებული. ესაა ჩვენი უპირველესი ამოცანა.

„ლელოს“ ფეხბურთის ბანყოფილება.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	9	6	1	2	20-14	13
2. „ყალგირისი“ (ვილნიუსი)	9	5	2	2	12-8	12
3. „დინამო“ (კიევი)	8	4	3	1	10-3	11
4. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	9	4	3	2	12-9	11
5. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	8	4	3	1	9-6	11
6. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	9	3	5	1	7-3	11
7. „დინამო“ (მოსკოვი)	8	4	1	3	10-10	9
8. „ტორპედო“ (მოსკოვი)	9	3	3	3	8-9	9
9. „დინამო“ (თბილისი)	9	4	0	5	15-14	8
10. „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	9	4	0	5	7-10	8
11. „არარატი“ (ერევანი)	8	3	2	3	5-5	8
12. „შახტიორი“ (დონეცკი)	9	2	3	4	7-9	7
13. „დინამო“ (მინსკი)	7	1	4	2	6-6	6
14. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	9	1	4	4	7-13	6
15. „ნივფიჩი“ (ბაქო)	9	2	1	6	5-11	5
16. „კაირატი“ (ალმა-ათა)	9	1	1	7	4-14	3

რედაქციისაგან: „ლელოს“ არასდროს დაუმალავს არაობიექტური მსაჯობის ფაქტები და ვერც ახლა გავჩუმდებით. არ გვინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს თბილისელთა კიდევ ერთი დასანანი მარცხით გამოწვეული ხინანულის გასაქარვებლად ვწერთ ამ სტრიქონებს. სტუმრებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს და თუ მსაჯმა, როგორც იტყვიან, თამაში გააფუჭა უსუსურობით და დაბნეულობით, ეს სრულებითაც არ ამართლებს მასპინძლებს. სხვათა შორის, გუნდის ფსიქოლოგიურ მომზადებაში ასეთ სიტუაციებში საკუთარი სათამაშო ხელწერისა და კლუბის ინტერესების ბოლომდე დაცვის უნარის შენარჩუნებაც იგულისხმება. მსაჯის სიხუტეზე მაღლა იდგე და საკუთარი თამაში ითამაშო, ესეც გუნდის მზადყოფნის უდავო მაჩვენებელია.

„დნეპრთან“ დინამოელთა შეხვედრაში მსაჯმა ი. სავჩენკომ რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა. გაუგებარი იყო ხათამაშო სიტუაციებში ტყებუჩავას და პუჩკოვის გაფრთხილება. თერთმეტმეტრიანის თამაზე არავინ დაობს, მაგრამ ის, რომ გაბელიას კარში შახოვმა წესის დარღვევით (შეუყოვნებით) დაარტყა პენალტი, ყველამ აშკარად დაინახა. აქაოდა, მიკერძოება არ დამწამონო, ი. სავჩენკო ზედიზედ ხან ერთ მხარეს უშვებდა უხეშ შეცდომებს, ხან მეორე მხარეს. მაყურებელს აღიზიანებს მსაჯის ასეთი უტაქტობა, დიახ, უტაქტობა, რადგან ასეთი მსაჯობა გულშემატკივართა თავმოყვარეობაზე მოქმედებს, თუმცა, უნდა ითქვას, საბოლოო ანგარიშით, ჩვენმა მაყურებელმა ამჯერადაც ნამდვილად რაინდული გულშემატკივრობა გამოიჩინა.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ საზოგადოებრივ აზრს, რომ მსაჯები კვლავ და კვლავ განუკითხავად სცოდავენ. მატჩებზე მსაჯობის შემფასებელთა პოზიცია და დასკვნები ხშირად აშკარად ეწინააღმდეგება ფეხბურთის გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობის შეთანხმებულებას. პირდაპირ ვთქვათ, გულშემატკივრის კულტურას, რაც ქვეყნის სტადიონებზე წესრიგის განმტკიცებაზე მეტყველებს, აშკარად ჩამორჩება მსაჯობის კულტურა. მკითხველი გვე ტყვის: საკითხის ამგვარად დასმას, ისიც მხოლოდ ჩვენს პრესაში, რა აზრი აქვსო. სხვაგან საკითხის დასმა რედაქციის საქმე არ არის. საზოგადოებრივი აზრი საქართველოს სპორტსახკომმა და მისმა ფეხბურთის სამმართველომ უნდა მიიტანონ იქ, „სადაც ჯერ არს...“, სადაც უფლებამოსილნი არიან არა მარტო დასკვნები გააკეთონ, არამედ პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგან. ფეხბურთში მსაჯობაც ხომ უკეთესობისკენ უნდა გარდაიქმნას და არა უარესობისკენ.

„ნუ ჩაგვიმწარებთ სიხარულს...“

ფეხბურთი ყველას ერთნაირად გვიყვარს და ამიტომ ყველას ერთნაირად გვახარებს ჩვენი „დინამოს“ გამარჯვება. ცხადია, ასევე ყველას ერთნაირად გვტკივნს გულს საყვარელი გუნდის დამარცხება. ხშირად გვეჩვენება, რომ ჩვენს ფეხბურთელებს ბოლომდე არა აქვთ გაანრებული ის უდიდესი მოვალეობა, რაც მათ ხალხის წინაშე ეკისრებათ. როგორც იტყვიან, დიდ სიყვარულს დიდი გაფრთხილება უნდა.

მაგრამ ახლა რედაქციას იმიტომაც ვაწუხებ, რომ მინდა ჩემი და ბევრი ჩემი მეგობრის მოსაზრება გავუზიარო მკითხველებს. საქმე ის არის, რომ ქართული სპორტის გულშემატკივრები, ცოტა არ იყოს, უმადურობას ვიჩენთ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლების მიმართ — ფეხბურთთან და ფეხბურთელებთან შედარებით ვამბობ. თუ „დინამო“ მოიგებს, ცაში ქუდს ვისვრით, სხვა სახეობის წარმომადგენელი მსოფლიოს, ევროპის, ქვეყნის ჩემპიონი ხდება და, ჩვეულებრივ ამბად ვიღებთ. აი, „ლელომ“ შემოიღო რუბრიკა „რამ გაგვახარა, რამ დაგვწყვიტა გული!“ მივესალმებით ამ რუბრიკას. იქნებ ამიერიდან მაინც მივაგოთ ჯეროვანი პატივი ჩვენს ჩემპიონებს. მარტო ბოლოდროინდელი შედეგები რომ ავიღოთ, რამდენი სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ, რამდენი ახალი ი მიღწევით გამდიდრდა ქართული სპორტის ისტორია. ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატებმა, წყალში მხტომელმა გ. ჩოგოვაძემ და თავისუფალი სტილის მოჭიდავემ ლ. ხაბელოვმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს, ანდა შესანიშნავი მსროლელის ნ. სალუქვაძის, ნიჩბოსან კახა ლომიშვილის, მოკრივე ალბერტ კაზანჯიანის, ველოსიპედისტ ო. მჭედლიშვილის, მოფარიკაველების, ჩოგბურთელების, მოჭადრაკეების, ძიუდოისტების წარმატებები გავიხსენოთ. აი, სულ ახალი ცნობა: თბილისელმა მსროლელმა თ. იმნაიშვილმა იტალიის დიდი პრიზი მოიგო, ყველაფერს ვერ ჩამოთვლი, სასიხარულო ბევრი რამ იყო, ოღონდ ჩვენც და ყველას „დინამო“ მაინც გულს გვტკივნს. კიდევ ერთხელ ვთხოვთ ჩვენს ფეხბურთელებს: ნუ ჩაგვიმწარებთ სიხარულს.

რომან ორაგველიძე,
თბილისის ს. კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხშენებლის“ ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადის ბრიგადირი.

ოლიმპიურ სარბილზე

ოლიმპიურ თამაშების ეროვნულ-ბურთო ტურნირის შესარჩევ მატჩში უნგრელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე ავსტრიელთა (2:0) დაამარცხეს ირლანდიის გუნდი. ევროპის ზონის ამ ჯგუფში ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ შვეიცარიას და უნგრეთის გუნდებს (11-11), მაგრამ უნგრელებმა ყველა შესარჩევი მატჩი ჩაატარეს, შვედებს კი საფრანგეთის გუნდთან აქვთ სათამაშო.

გამოვლინდნენ მასპინძლები

სსრკ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ მოაწყო წილისყრა, რომლის შედეგადაც გამოვლინდნენ საკავშირო თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის მასპინძელი გუნდები.

ეს თამაშები ჩატარდება 22 მაისს, თბილისის „შევარდენი“ მიიღებს ფოთის „კოლხეთს“, ლანჩხუთის „გურია“ თავის მინდორზე ეთამაშება სამტრედიის „ლოკომოტივს“, ხოლო ქუთაისში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „ტორპედო“ და „გასტელო“ (უფა).

შემდგომი, მეთექვსმეტედფინალის შეხვედრები გაიმართება 2 წრედ, გათამაშებაში ჩაებმებიან უმაღლესი ლიგის გუნდებიც. მეტოქეები ითამაშებენ შინ და სტუმრად, ამასთან პირველი მატჩები გაიმართება უმაღლესი ლიგის გუნდების მინდვრებზე.

უეფა-ს თასზე

4 მაისს ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში შედგა უეფა-ს თასის პირველი მატჩი, ადგილობრივმა „ესპანიოლმა“ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ლევერკუზენის „ბაიერი“ და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 3:0 (1:0).

პირველი ტაიმის დასასრულს, 44-ე წუთზე, „ბაიერის“ კარში პირველი ბურთი გაიტანა ლოსადამ, რომელიც ესპანელთა გუნდის საუკეთესო მოთამაშე იყო. 49-ე წუთზე ლოსადამ საჯარიმო დაარტყა, ბურთი მოხვდა „ბაიერის“ ერთ-ერთ მცველს, შემდეგ — ესპანელ სოლერს, რომელმაც ზუსტად დაარტყა კარში — 2:0. მესამე ბურთი იმავე ლოსადამ გაიტანა.

საპასუხო მატჩი 18 მაისს შეედგება ლევერკუზენში. „ესპანიოლს“ საგრძნობი უპირატესობა აქვს საერთო გამარჯვების მისაღწევად.

იტალიელები ემზადებიან

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში გაიმართება იტალიაში. ამასთან დაკავშირებით აქაური ქალაქები ინტენსიურად ემზადებიან მომავალი შეჯიბრებებისთვის.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის დელეგაცია იმყოფებოდა იტალიის ქალაქებში და ოფიციალურ მოხსენებით ბარათში კმაყოფილება გამოთქვა აქაური სპორტულ ნაგებობათა რეკონსტრუქციის ტემპებით.

ფიფას-ს გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა, რომ იტალიელები სრული სერიოზულობით მიუდგნენ მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებს, ისინი მაღალ დონეზე ეგებებიან ამ დიდ შეჯიბრებას.

ფიფა-ს ახალი ვიცე-პრეზიდენტი

ბუენოს-აირესში გაიმართა სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის სხდომა, სადაც აირჩიეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ახალი ვიცე-პრეზიდენტი. არჩევანი შეჩერდა არგენტინელ ხულიო უმბერტო გრანდონაზე.

ბერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის დასასრულამდე 3 ტური დარჩა, მაგრამ ბრემენის „ვერდერმა“ უკვე გაინაღდა ჩემპიონის წოდება. ბრემენელებმა 31-ე ტურში ფრანკფურტში ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ადგილობრივი „აინტრაჰტი“, 50 ქულა დააგროვეს და 7 ქულით უსწრებენ მეორე ადგილზე მყოფ „ბაიერს“ (მიუნხენი). „ვერდერის“ ბოლო მატჩში ბურთი გაიტანა კარლ-ჰაინც რიდლმა. უხეში თამაშისთვის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ბრემენელი ფრანკ ნოიბერტი.

„ვერდერის“ უფროსმა მწვრთნელმა ო. რეჰაგელმა განაცხადა, რომ „ბაიერსა“ და „კიოლნში“ შესაძლოა უკეთესი ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ კოლექტიური მოქმედებით „ვერდერი“ ყველაზე მაღლა დგას.

უნგრეთის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ბუდაპეშტში მიიღო ისლანდიის გუნდი. ეს იყო ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა, გაიმარჯვეს უნგრელებმა — 3:0.

ჰოლანდიის გაზეთებში ცნობა გამოქვეყნდა, რომ წარსულის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი იოჰან კრუიფი სათავეში ჩაუდგა ესპანეთის „ბარსელონას“. საინტერესოა, რომ ი. კრუიფი მიმდინარე სეზონში მესამე მწვრთნელია „ბარსელონაში“.

საქართველოს პირველობა

30 აპრილს და 2 მაისს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის VII და VIII ტურების შეხვედრები. გთავაზობთ მათ ტექნიკურ შედეგებს.

I ჯგუფი

„დინამო“ (ზუგდიდი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 3:0. მსაჯი კ. დავიდიანი (ბათუმი). გოლები: შეროზია, თუთბერიძე, გერგედავა („დინამო“).

„არმაზი“ (მცხეთა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „მეშახტე“ (ტყიბული) 3:0. მსაჯი ი. გვარამაძე (რუსთავი). გოლები: ცნობილაძე, კერესელიძე, ჩხაბერიძე („შადრევანი“).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი). გოლები: ქვანია („ამირანი“), კიკნაძე („მეტალურგი“).

გვერდით მსაჯთან კამათისათვის გაფრთხილებულია მ. ქობალია („ამირანი“).

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:2. მსაჯი ვ. მეიბინოშვილი (თბილისი). გოლები: ქვილითაია, ციმაკურიძე — 2 („სამეგრელო“), ქომეთიანი, ლატარია („კოლხეთი“).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „დინამო“ (გაგრა) 1:1. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი). გოლები: ოსაძე („დურუჯი“), რაგანიანი („დინამო“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი). გოლები: ვალაშვილი, კახოიძე („ბახტრიონი“).

„ხალხინო“ (გეგეჭკორი) — „ივერია“ (ხაშური) 1:0. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).

„ხვური“ (წალენჯიხა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი). გოლები: ფილია, აფუზავა („სვური“), ა. ჯიოევი („სპარტაკი“).

„ნაპოვნელა“ (თერჯოლა) — ფიზკულტ. ინსტიტუტი (თბილისი) 3:4. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი). გოლები: ფანჩულიძე, ჩინჩალაძე-2 („ნაპოვნელა“), ჯუღელი, ანიაშვილი-2, მებუკე (ფიზკ. ინსტიტუტი).

უხეში თამაშისათვის გაფრთხილებულია გ. ფანჩულიძე („ნაპოვნელა“). დროის განზრახ გაყვანისათვის — გ. მჭედლიძე და მ. ლაცაბიძე (ფიზკ. ინსტ.).

„მადნეული“ (ბოლნისი) — „სულორი“ (ვანი) 0:4. მსაჯი ხ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: პაიკიძე — 2, ორმოცაძე — 2 („სულორი“).

VIII ტური, 2 მაისი.

„არმაზი“ (მცხეთა) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 1:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი). გოლები: იორამაშვილი („არმაზი“), სევასტოპულო-2 („მალაროელი“).

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:2. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლები: არსენიძე, რუსიშვილი („მეშახტე“).

მსაჯთან კამათისათვის გაფრთხილებულია მ. ფორჩხიძე („მეშახტე“).

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:2. მსაჯი ა. კიკაბიძე (მახარაძე).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:0. მსაჯი მ. მალლაფერიძე (ქუთაისი). გოლები: შამუგია, როსტომაია („ამირანი“).

განზრახ ხელით თამაშისათვის გაფრთხილებულია ჯ. ბენდელიანი („სამეგრელო“).

„კოლხეთი“ (ხობი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:0. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი). გოლები: ქომეთიანი-2, ჭიკინაძე („კოლხეთი“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „დინამო“ (გაგრა) 2:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: თედეშვილი, ვალაშვილი („ბახტრიონი“).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „ივერია“ (ხაშური) 1:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლები: ჩიქობავა („ეგრისი“), ოსაძე („ივერია“).

მსაჯთან კამათისათვის გაფრთხილებულია ვ. ჩადუნელი („ივერია“).

„ხალხინო“ (გეგეჭკორი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი). გოლები: ჭუბაბრია, ხელაია („ხალხინო“), ი. ჯიოევი („სპარტაკი“).

„ხვური“ (წალენჯიხა) — „ნაპოვნელა“ (თერჯოლა) 2:1. მსაჯი ნ. მავიშვილი (ბათუმი). გოლები: კვირტია-2 („სვური“), ჩინჩალაძე („ნაპოვნელა“).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სულორი“ (ვანი) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ლაცაბიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი), არველაძე („სულორი“).

„მადნეული“ (ბოლნისი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:4. მსაჯი ე. ხალაგავა (თბილისი). გოლები: მალანია, შეროზია, ტიბუა, თუთბერიძე („დინამო“).

გაფრთხილებულია მ. შუბითიძე („მადნეული“), მოწინააღმდეგესთან განზრახ უხეში თამაშისათვის, მ. ჯიქია („დინამო“) — 9 მეტრი მანძილის დაუცველობისათვის.

I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სულორი“	8	5	3	0	12-3	13
„კოლხეთი“	8	6	0	2	15-7	12
„მადნეული“	8	5	1	2	12-11	11
„დინამო“ ზ.	8	4	3	1	16-4	11
„შადრევანი“	8	4	3	1	10-5	11
„ამირანი“	8	4	2	2	12-5	10
„ხალხინო“	8	4	2	2	14-12	10
„ბახტრიონი“	8	4	1	3	9-7	9
„სამეგრელო“	8	4	1	3	10-11	9
„დურუჯი“	8	2	5	1	11-12	9
„მალაროელი“	8	3	2	3	9-11	8
ფიზ. ინსტ.	8	2	4	2	12-12	8
„დინამო“ გ.	8	3	1	4	5-10	7
„სვური“	8	2	3	3	7-10	7
„ქართლი“	8	2	3	3	8-13	7
„მეშახტე“	8	3	0	5	6-10	6
„არმაზი“	8	2	2	4	9-11	6
„საპოვნელა“	8	2	1	5	10-12	5
„მეტალურგი“	8	2	1	5	9-11	5
„ეგრისი“	8	1	3	4	6-11	5
„ივერია“	8	1	2	5	6-13	4
„სპარტაკი“	8	0	3	5	6-13	3

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„აბული“ (ახალქალაქი) — სპი „დინამო“-3 (თბილისი) 2:1, „ვარძია“ (ასპინძა) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 2:1, ასს (თბილისი) — „მეფრინველე“ (კასპი) 3:2, „იმედი“ (თბილისი) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:0, „თორი“ (ბორჯომი) — „ფოსტამტი“ (თბილისი) 2:1, „მეტალისტი“ (რუსთავი) — „ალგეთი“ (მარნეული) 7:0, „უნივერსიტეტი“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 1:2, „სამგორი“ (გარდაბანი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 5:4, სსი (მუხრანი) — „თრიალეთი“ (წალკა) 4:0.

IV ტურის მატჩი წალკის „თრიალეთსა“ და ასპინძის „ვარძიას“ შორის დამთავრდა ფრედ — 2:2.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„დვაბზუ“ (მახარაძე) — „კოლხეთი“-2 (ფოთი) 3:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „მამისონი“ (ონი) 2:0, „ოდიში“ (ზუგდიდი) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 2:2, „ჩიხურა“ (საჩხერე) — სპი (ქუთაისი) 1:1, „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) 6:2, „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — „მზიური“ (გალი) 0:0, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) 4:2, „ნარინჯი“ (ქობულეთი) — ხდკ (სამტრედია) 3:0.

III ჯგუფი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„გარისი“ (თეთრი წყარო) — „ქიზიყი“ (სიღნაღი) 6:1, „მეტალურგი“-2 (რუსთავი) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 2:4, „ნაფარეული“ (თელავის რ-ნი) — სპი (თბილისი) 2:3, „მარაბდა“ (კოდა) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 2:0, „თუშეთი“ (ახმეტის რ-ნი) — „მოონი“-35 (თბილისი) 1:1.

ცენტრალური ქვეჯგუფი

„ბაგათი“ (ჯავა) — „ავტომობილისტი“ (გორი) 0:2, „მეავეჯე“ (ახალდაბა) — „ზარზმა“ (ადიგენი) 2:1, „ფარავანა“ (ბოგდანოვკა) — „მეშაქრე“ (აგარა) 5:2, „შშენებელი“ (ჭიათურა) — „ჭოგნარი“ (თერჯოლა) 4:1, „ქვემოჭალა“ (კასპი) — „იბერია“ (ქარელი) 1:7, „ორპირი“ (ტყიბული) — „ხვამლი“ (ცაგერი) 1:0.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „ალიონი“ (ვალი) 2:1, „კახაბერი“ (ხელვაჩაური) — „სუბტროპიკი“ (სოხუმი) 1:1, „განთიადი“ (ცხაკაია) — „კოლხიდა“ (ქუთაისი) 2:2, „ზანა“ (აბაშა) — „სპარტაკი“ (ბათუმი) 1:2, „ახალსოფელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „მელექედური“ (მახარაძე) 5:2.

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

მდგომარეობა 7 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„თორი“	5	4	0	1	8-4	8
„მეტალისტი“	5	3	1	1	16-3	7
„არაგვი“	5	3	1	1	9-4	7
„მუხრ.“-სსი	5	3	1	1	10-6	7
„კახეთი“	5	3	1	1	10-7	7
„აბული“	4	2	2	0	5-3	6
„იმედი“	5	2	1	2	6-5	5
„მეფრინველე“	5	2	1	2	8-9	5
„ალგეთი“	4	2	1	1	3-8	5
სპი-„დინ.“-3 (თბ.)	5	2	0	3	10-7	4
ახ. საფ. სკ.	5	2	0	3	6-7	4
„ფოსტამტი“	5	2	0	3	7-10	4
„სამგორი“	5	2	0	3	11-15	4
„ვარძია“	5	1	2	2	6-10	4
„ჰერეთი“	5	1	1	3	5-7	3
„მესხეთი“	5	1	1	3	10-13	3
უნივერსიტ.	5	1	1	3	7-11	3
„თრიალეთი“	5	0	2	3	5-13	2

დასავლეთი ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნარინჯი“	5	4	0	1	12-3	8
„იმერეთი“	5	4	0	1	10-5	8
„მზიური“	5	3	2	0	9-3	8
„ჩიბათი“	5	3	1	1	16-9	7
„კოლხეთი“-2	5	3	1	1	9-3	7
„ბახმარო“	5	3	1	1	7-2	7
„საირმე“	5	2	3	0	9-3	7
„დვაბზუ“	5	3	0	2	10-6	6
პოლ. ინსტ. ქუთ.	5	2	1	2	6-6	5
„ჩიხურა“	5	1	3	1	8-8	5
„მამისონი“	5	1	2	2	7-10	4
„ჩხერიმელა“	5	1	2	2	4-7	4
„დარჩელი“	5	0	3	2	5-9	3
„ოდიში“	5	0	1	4	4-14	1
„ქიმიკოსი“	5	0	0	5	5-21	0
ხდკ	5	0	0	5	1-13	2

ჩოგბურთის ოლიმპიადები

გამოკვეყნდა მსოფლიო ჩოგბურთის თეიერები. **ვაქები:** 1. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 2. ვილანდერი, 3. ედბერგი (ორივე — შვეცია), 4. კონორსი (აშშ), 5. კეში (ავსტრალია), 6. ბეკერი (გფრ), 7. მეჩირი (ჩეხოსლოვაკია), 8. ნოა (საფრანგეთი), 9. ჯილბერტი, 10. მაიოტი (ორივე — აშშ). **ქალები:** 1. გრაფი (გფრ), 2. ნავრატილოვა, 3. ევერტი, 4. შრაივერი (ყველა — აშშ). 5. საბატინი (არგენტინა), 6. მ. მალეევა (ბულგარეთი), 7. სუკოვა (ჩეხოსლოვაკია), 8. კოდე (გფრ), 9. მანდლიკოვა (ავსტრალია), 10. მაკნეილი (აშშ). საბჭოთა ჩოგბურთელები ნ. ზვერევა და ლ. საჭინკო შესაბამისად მეჩვიდმეტე და მეოცე ადგილებზე არიან.

1988 წლის „გრან პრის“ ტურნირების მიხედვით დაწინაურებულ ჩოგბურთელთა შორის არიან: **ვაჟები:** ვილანდერი — 2290 ქულა, ედბერგი — 1969, ბეკერი — 1668, ნოა — 1595, კეში — 1380, მეჩირი — 1285, ჩესნოკოვი (სსრ კავშირი) — 1146, მაიოტი — 1130, კონორსი — 1118, ლენდლი — 1043. **ქალები:** ნავრატილოვა — 2305, გრაფი — 1965, ევერტი — 1615, საბატინი — 1375, შრაივერი — 1175, კოდე — 915, გარისონი (აშშ) — 809, სუკოვა — 715, ფენდიკი (აშშ) — 626, მ. მალეევა — 550.

მაისში დიუსელდორფში გაიმართება სამეფო თასის გათამაშება ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს რვა გუნდი; აშშ (ჯილბერტი, მაიოტი, სეგუსა), საფრანგეთი (ფორეე, ტულასნე, ბენბაბილი), ესპანეთი (ემილიო და ხუან სანჩესები, კასალი), შვეიცარია (ვლახეკი, მაზარდი, შტადლერი), ჩეხოსლოვაკია (შმიდტი, ვაიდა, ნოვაჩეკი ან შრეიბერი), არგენტინა (ხაიტი, პერეკო როლდანი, ბენგოეჩეა), გფრ (შტები, ელენი, კიუნენი), შვეცია (ედბერგი, კ. კარლსონი, იარიდი).

(საკუთარი ინფორმაცია).

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. **9 მაისი.** ოქრაყანის სპორტული ბაზა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მადნეული“ (ბოლნისი).** დასაწყისი 15 საათზე.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

10 მაისი

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა, IX ზონა

ოლიმპიური მოამზადეგის ცენტრი — „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შევარდენი“ (თბილისი).

დასაწყისი 18 ს. 30 წთ.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი

7 მაისი

რეგბი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

პირველი ლიგა

„შევარდენი“ (თბილისი) — „ვაირასი“ (შიაულიაი)

დასაწყისი 18 საათზე.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი

თამაზ შალვას ძე სხულუხია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის. ოჯახს.

საერთაშორისო ფეხბურთი: ფილიპეანი, ცხარელეანი

ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატებზე გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

იტალია

27-ე ტური. „მილანი“ — „ინტერი“ 2:0, „ვერონა“ — „ნაპოლი“ 1:1, „აველინო“ — „პიზა“ 1:0, „ჩეზენა“ — „ემპოლი“ 1:1, „ფიორენტინა“ — „ასკოლი“ 1:0, „პესკარა“ — „რომა“ 0:0, „ტორინო“ — „კომო“ 1:1, „სამპდორია“ — „იუვენტუსი“ 2:2.

„ნაპოლი“	**27**	**50-19**	**42**
„მილანი“	**27**	**39-11**	**41**
„რომა“	**27**	**36-23**	**34**

იუგოსლავია

26-ე ტური. „რადი“ (ბელგრადი) — „სარაევო“ 3:2, „პრიშტინა“ — „დინამო“ 0:0, „ნიკშიჩი“ — „რიეკა“ 3:0, „ოსიეკი“ — „ტუზლა“ 1:1, „ცრვენა ზვეზდა“ — „ბუდუჩნოსტი“ 2:2, „ვარდარი“ — „ვოივოდინა“ 2:0, „ზენიცა“ — „ველეჟი“ 1:1, „ჰაიდუკი“ — „პარტიზანი“ 2:0, „უელეზნიჩარი“ — „რადნიჩკი“ (ნიცი) 0:0.

„ველეჟი“	**26**	**38-20**	**33**
„ცრვენა ზვეზდა“	**26**	**48-34**	**32**
„დინამო“ (ზაგ.)	**26**	**37-27**	**31**

ინგლისი

29-ე ტური. „ჩარლტონი“ — „ნიუკასლი“ 2:0, „დერბი“ — „საუთჰემპტონი“ 2:0, „ლივერპული“ — „ტოტენჰემი“ 1:0, „ოქსფორდი“ — „ევერტონი“ 1:1, „ქუინს პარკი“ — „შეფილდი“ 1:1, „ვესთ ჰემი“ — „ქოვენთრი“ 1:1, „უიმბლდონი“ — „ჩელსი“ 2:2, „პორთსმუტი“ — „ნორვიჩი“ 2:2. გამოტოვებული მატჩები: „ნორვიჩი“ — „ლივერპული“ 0:0, „ნოტინგემი“ — „ვესტ ჰემი“ 0:0.

„ლივერპული“	**36**	**79-20**	**84**
„მანჩ. იუნ.“	**36**	**61-35**	**64**
„ევერტონი“	**37**	**51-24**	**68**

„ლივერპული“ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. გაიმართა ინგლისის თასის ფინალი: „ლუტონი“ — „არსენალი“ 3:2 (1:0).

გფრ

29-ე ტური. „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „კაიზერსლაუტერნი“ 3:0, „ჰომბურგი“ — „შალკე 04“ 3:1, „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი) — „კიოლნი“ 0:1, „შტუტგარტი“ — „ბაიერი“ (უერდინგენი) 1:3, „ბაიერნი“ — „კარლსრუე“ 2:1, „მანჰეიმი“ — „ჰანოვერი“ 2:1, „ნიურნბერგი“ — „ვერდერი“ 0:0, „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — „ბოხუმი“ 0:0, „ჰამბურგი“ — „აინტრაჰტი“ (ფრანკფურტი) 2:2.

„ვერდერი“	**29**	**53-15**	**46**
„ბაიერნი“	**29**	**71-38**	**41**
„კიოლნი“	**29**	**48-23**	**41**

ესპანეთი

34-ე ტური. „სან სებასტიანი“ — „მურსია“ 0:1, „ვალიადოლიდი“ — „ბარსელონა“ 1:1, „რეალი“ — „ბეტისი“ 6:0, „ხიხონი“ — „ვიგო“ 4:1, „სარაგოსა“ — „ლოგრონესი“ 1:0, „ოსასუნა“ — „მალიორკა“ 1:0, „ლას პალმასი“ — „საბადელი“ 0:2, „ესპანიოლი“ — „ატლეტიკ“ (ბილბაო) 1:1, „ვალენსია“ — „კადისი“ 1:1, „სევილია“ — „ატლეტიკო“ (მადრიდი) 1:1.

„რეალი“	**34**	**57**	
„სან სებასტიანი“	**33**	**46**	
„ატლეტიკო“ (მად.)	**34**	**42**	

ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტურით ადრე „რეალმა“ პირველი ადგილი გაინაღდა და ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

ბელგია

30-ე ტური. „ბეერსკოტი“ — „ლოკერენი“ 2:2, „ანდერლეხტი“ — „ანტვერპენი“ 6:0, „ვარეგემი“ — „შარლერუა“ 3:0, „ვინტერსლაგი“ — „მეხელენი“ 0:0, „გენტი“ — „რესინგი“ (ბრიუსელი) 0:0, „ბევერენი“ — „კორტრეიკი“ 0:2, „სერკლ ბრიუგე“ — „სტანდარდი“ 1:1, „ლიეჟი“ — „სენტ ტრიუდენი“ 1:0, „მოლენბეკი“ — „ბრიუგე“ 0:2.

„ბრიუგე“	**30**	**46**	
„მეხელენი“	**30**	**44**	
„ანტვერპენი“	**30**	**44**	

უნგრეთი

23-ე ტური. მტკ — „პეჩი“ 3:1, „ფერენცვაროში“ — „ბეკეშაბა“ 3:1, „ვაშაში“ — „უიპეშტ დოჟა“ 2:2, „ტატაბანია“ — „სომბათხეი“ 3:0, „სიოფიოკი“ — „გიორი“ 2:1, „ჰონვედი“ — „დებრეცენი“ 2:1, „ვიდეოტონი“ — „კაპოშვარი“ 0:0, „ზალაეგერზეგი“ — „ვაკი“ 1:1.

„ჰონვედი“	**23**	**32**	
„ტატაბანია“	**23**	**30**	
„უიპეშტ დოჟა“	**23**	**29**	

პოლონეთი

22-ე ტური. „ლიუბინი“ — „ოლიმპია“ (პოზნანი) 0:0, „შომბერკი“ — „სტალოვა ვოლია“ 0:1, „ბიალისტოკი“ — „სლასკი“ (ვროცლავი) 1:0, „ვიძევი“ — „ვალბრჟიხი“ 3:1, „კატოვიცე“ — „არკა“ (ედინია) 4:0, „გდანსკი“ — „ვურნიკი“ 1:1, „ლუბი“ — „ლკს (ლოძი) 2:0, „ლეგია“ — „შჩეცინი“ 1:0.

„ვურნიკი“	**22**	**37**	
„ლეგია“	**22**	**30**	
ლკს	**22**	**29**	

პორტუგალია

31-ე ტური. „ბრაგა“ — „კოიმბრა“ 1:0, „ფარენზე“ — „ბენფიკა“ 1:0, „ესპინიო“ — „ბელენენსეში“ 2:1, „რიო ავე“ — „გიმარაეშა“ 2:1, „პანაფიელი“ — „ბოხვისტა“ 0:0, „სალგეიროში“ — „ვარზიმი“ 1:0, „შავიში“ — „პორტო“ 0:1, „ელვაში“ — „ქოვილია“ 5:0, „სპორტინგი“ — „სეტუბალი“ 2:0 „მარიტიმო“ — „პორტიმონენსე“ 1:1.

„პორტო“	**31**	**53**	
„ბენფიკა“	**31**	**45**	
„სპორტინგი“	**31**	**38**	

ჩეხოსლოვაკია

21-ე ტური. „სპარტა“ — „სლავია“ 5:0, „ოლომოუცი“ — „ჟილინა“ 5:0, „ბანიკი“ (დუკლა) — „ბანსკა ბისტრიცა“ 2:2, „რუდა ჰვეზდა“ — „დუნაისკა სტრედა“ 1:1, „ტატრანი“ — „ბოჰემიანსი“ 0:1, „სპარტაკი“ — „ინტერი“ 2:0, „ჰრადეც კრალოვე“ — „პლასტიკა“ 1:0, „დუკლა“ (პრაღა) — „ვიტკოვიცე“ 2:0.

„სპარტა“	**21**	**55-13**	**36**
„დუნაისკა სტრედა“	**21**	**29-21**	**26**
„ბანიკი“	**21**	**36-28**	**25**

ინდექსი 84435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29.

უე 10738